ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 244

"16" აგვისტო 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.15.01.003.045; №01.15.06.001.061; №01.15.01.003.048; №01.15.06.001.060; №01.15.01.003.046; №01.15.06.002.021; №01.15.06.002.020 და №01.15.01.003.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.15.01.003.045; №01.15.06.001.061; №01.15.01.003.048; №01.15.06.001.060; №01.15.01.003.046; №01.15.06.002.021; №01.15.06.002.020 და №01.15.01.003.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზება, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.15.01.003.045; №01.15.06.001.061; №01.15.01.003.048; №01.15.06.001.060; №01.15.01.003.046; №01.15.06.002.021; №01.15.06.002.020 და №01.15.01.003.043 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის 2019 წლის 7 აგვისტოს №19.838.1095 განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**